# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| გაგზვნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირი სტამბაში, ხანის ქუჩა №, ბებუთოვის სახლებში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი- *Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографіи Энфіаджіанца и к°.*

№ 7 ოთხშაბათი | VI | 15 აპრილი 1873 წ.


შინაარსი.

სოფლის საამხანაგო ბანკები:— სამეცნიერო ნაწილი:— ელექტრონობა. საოცარი ცნობები, ახალი შოგონებული გველის წამალი. — სამეურნეო ნაწილი:– სტატურის მოყვანა— ახალი სამეცნიერო ამბები. შინ სასარგებლო და გამოსადეგი ამბები:— ნიკოლაევის სასწავლებელზე. მაიმუნების ცხოვრება.

## სოფლის საამხანაგო ბანკები

ყოველი წევრი ანუ ამხანაგი დაუდგება სხვას თავდებათ მხოლოდ იმის ნახევარ ფულზე, რამდენიც თვითონ იმას შეუძლიან გამოიტანოს ბანკიდგან სესხათ; და ამასთანავე თვითონაც შეუძლიან სრული სესხი გამოიტანოს. აქედგან სჩანს, რომ ამხანაგობა ყოველს თავის ამხანაგს ანუ წევრს ენდობა ორი იმდენს ფულს, რაც თავის წილათ აქვს საამხანაგო ბანკში შეტანილი: ვთქვათ ამხანაგს საწევრო წილათ აქვს ბანკში შეტანილი ხუთი თუმანი. ოცდახუთს მანეთზე თუ სხვას თავდებათ დაუდგა, ამ შეთხვევაში თვითონ იმას რომ დასჭირდეს შეუძლიან შვიდ თუმან ნახევარი კიდევ აილოს თავისთვის სესხათ. ის ოცდახუთი მანათიც აქ რომ დაუმატოთ შედგება სულ ათი თუმანი. მაშასადამე წევრს თუ ხუთი თუმანი აქვს შეტანილი, შეუძლიან ათი თუმანი ისესხოს. ერთი სიტყვით იმას ამხანაგობისაგან ორი თავის საწევრო წილის ოდენი ნდობა აქვს საამხანაგო ბანკისაგან. სესხის ვადა სხვა და სხვა ალაგას სხვა და სხვაა დადებული. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხელობაში არიან ბანკის გამმართველები. ყოველს მოხელეთაგანს უნდა მიეცეს სესხათ ფული იმ ვადამდის, სანამდისაც ის ხელს მოიბრუნებს, ესე იგი ნასესხი ფულიდგან იყიდის ყოველ ნაირ მასალებს, რაც იმის ხელობისთვის საჭიროა. გააკეთებს თავის საქმეს, მერე გაჰყიდის თავის ნახელავს, ფულს აიღებს, სესხს მაშინ ამხანაგობას უბრუნებს და მოგებას თვითონ იტოვებს, რა მოხელობაც უნდა ავიღოთ, სესხის ვადა ცხრა თვეს მაინც აღარ უნდა გადაცილდეს. თუ იმდენათ გაუჭირდა საქმე, რომ ამ ვადაზე ვეღარ ამოიგო თავის ფული, მაშინ ამხანაგობა კიდევ სამ თვეს ადროვებს; მაგრამ კაცი თუ თავის მოხელობაში გაფრთხილებულია, მკირათ შეემთხვევა ამისთანა გაჭირვება. თუ ამ ვადაზედაც ვეღარ შემოიტანა ფული, მაშინ ამხანაგობა გაუყიდის თავის წევრს ანუ ამხანაგს ქონებას და ამხანაგობიდგანაც გამორიცხავს. სესხში ყოველი ამხანაგი უსათუოდ უნდა აძლევდეს სარგებელს, მაგრამ ეს სარგებელი ძალიან მსუბუქია: რადგან თვითონ ამხანაგობა კიდევ უფრო ცოტა სარგებლით შოულობს ფულებს. ამ შემოსავლიდგან ზოგი ისევ ამხანაგობას დაურიგდება, როცა მოგებას გაინაწილებენ.

ვინიცობაა ბანკმა ზარალი ნახა, რომ ყოველ ამხანაგის ქონებას არავინ შეეხოს, ბანკი ამ თავიდგანვე იწყებს ფულის გადადებას, ესე იგი სულად თავნის შედგენას. ეს ფული გროვდება ყოველი წლის მოგებიდგან რომ ერთ ნაწილს საერთო სასულადო ფულის შესადგენათ გადასდებენ, და ეს ფული დარჩება ამხანაგობის საკუთრებათ. თითო ამხანაგს გასვლის დროს კი არ შეუძლიან შეეხოს ამ ფულსა. მხოლოდ როცა ამხანაგობა მოშლის თავის ბანკს, მაშინ ეს ფული იმათ შკოლას უნდა მიეცეს შესაწევნელათ, რაც უფრო დიდი იქნება სულადი თავნი, მით უფრო ცოტა გადახდება ამხანაგობას. ვინიცობაა ბანკმა უეცრად ნახა ზარალი, რადგან ზარალი ჯერ სულადი თავნისაგან უნდა შეივსოს და თუ ეს არ აუვიდა, მხოლოდ მაშინ მიჰყოფენ ხელს თვითონ წევრის ქონებას. საამხანაგო ბანკის ალებ მიცემობის გასადიდებლათ და ამხანაგობისვე სასარგებლოთ ბანკი იღებს თავის წევრებისაგან ფულს შესანახავათ და მაშინ სარგებელს აძლევს. თუ ყველა ამხანაგობა დათანხმდა, გარეშე პირი საგანაც მიიღებს ფულს შესანახავათ. შესანახი ფული ყოველი ამხანაგისა იმის საწევრო წილზე ორჯერ მეტი არ უნდა იყოს, ამიტომ რომ დიდს ფულს სხვა ბანკებიც მიიღებენ უფრო დიდი სარგებლით. ამას გარდა თუ საწევრო წილის ორჯერ მეტი ფული მიიღო ხოლმე ბანკმა შესანახათ, ბანკს იმდენი ფული მოუგროვდება, რომ ველარ გაავალებს და სარგებელი კი უნდა აძლიოს, დანარჩენ ამხანაგებსაც დაუკეტს კარებს ფულის შესანახათ. ორსავე შემთხვევაში მავნებელი იქნება. ერთი რომ სარგებელს მისცემს იმ


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ფულში, რომელიც ვერ გაუვალებია და ტყუილათ აქვს, მეორე, რომ ამხანაგებსაც მოაკლებს იმათგან მორჩენილი ფულის შენახვას და იმათ სარგებლობას. აი, რისგამო არ იღებს ბანკი თითო ამხანაგისაგან საწევრო წილის ორზე მეტს ფულს შესანახავათ. ამხანაგობა მიიღებს შესანახავათ ფულს თუნდა კაპეიკობითაც; მაგრამ სარგებელს მაშინ დაუნიშნავს, როცა მანეთამდის შეგროვდება. შესანახს ფულში ამხანაგობა უნდა აძლევდეს იმაზე ნაკლებს სარგებელს, რამდენსაც თვითონ სესხულობს, თორემ მოგება არ ექნება. წელიწადი რომ გათავდება ამხანაგობა გამოიანგარიშებს, რამდენი სარგებელი შემოსულა. გამორიცხავენ იმ ფულს, რაც მიუცია თავის სესხში და შესანახ ფულში, დანარჩენი სარგებელი ნამდვილი მოგება იქნება ბანკისათვის. ამ მოგებიდგან ათი მეათედი ან მეოცედი უნდა გადაიდვას სუღადი თავნის შესადგენათ; დანარჩენი კი ამხანაგობას დაურიგდება თავის საწევრო ფულის დაგვარად. მაგალითად თუ თითო მანეთზე ორი შაური სარგებელი შეხვდა, ვისაც ხუთი თუმანი საწევრო წილი შეუტანია, იმას ხუთი მანეთი ერგება და ვისაც ორი მანეთი შეუტანია, იმას ერთი აბაზი. ეს ძალიან სამართლიანი დაწესებაა, რადგან ვისაც მეტი საწევრო წილი შეუტანია, მეტი სარგებლობაც მიუცია ამხანაგობისათვის. სარგებელი მხოლოდ იმას მიეცემა ხელში, ვისაც სრული საწევრო წილი აქვს ბანკში შეტანილი. ვისაც არა, იმის სარგებელი იქვე ჩაეთვლება საწევრო წილში, რომ რაც შეიძლება მალე შეადგინოს თავის სრული წილი. ის სარგებელი, რომელიც წლის გასულს ამხანაგს მისცემია, რო- გამოურიცხო იმ სარგებლიდგან, რაც თვითონ მიუცია ბანკისათვის ნავალევს ფულში, გამოჩნდება, რომ მეტი არ შეიძლება ისე ცოტ- სარგებელი უხდია თავის ნავალევ ფულში.

(შემდეგი იქნება.)

## სამეცნიერო ნაწილი

### ელექტრონობა

ელექტრონობას ეძახიან ისეთს ძალას, რომლისგამო ღრუბლიან ჰაერში, ელვა და ქუხილი წარმოსდგება; მეხი დაეცა რომ იტყვიან, ეს ის ცეცხლია, რომელიც ელექტრონობის ძალისაგან წარმოსდგება. რა არის სიტყვა ელექტრონობა, ან საიდგან წარმოსდგა ეს სიტყვა? "ელექტრონ" არის ბერძნული. ჰელლინები ელექტრონს ქარვას ეძახდენ. ამ ქარვის სახელიდგან წარმოსდგა ელექტრონობაც, პირველად ბერძნებმა ამ ქარვაში შეამჩნიეს ზემოხსენებული ძალა და პირველ დროებში დარწმუნებული იყვნენ, რომ ქარვას გარდა სხვას ნივთს არ აქვსო ეს ძალა.

ქარვა რომ რამდენჯერმე მაუდს წაუსვა, მერე ის პაწაწა ჩხირებს, მტვერს, კალმის ბუსუსებს, ბალნებს და სხვა წვრილმან ნივთებს იტაცებს შუშის ნამტვრევებს გარდა. თუ ქარვა ძალიან დიდია ვთქვათ ვაშლის ოდენი და დიდხანს უსვი მაუდს, ის კარგა დიდს ნაფოტსაც მიიტაცებს; ამასთანავე როდესაც ნაფოტს მიიტაცებს, თუ თვალი და ყური ადევნე, შენიშნავ თითქოს ქარვიდგან პაწაწა ნაპერწკალი გამოვარდნილიყოს და ამ დროს ტკაცანსაც გაიგონებ. ქარვის მაგიერათ დიდი გოგირდის ბურთი რომ აიღო და შალზე დიდხანს უსვა, მერე თითი მიუახლოვო, უფრო დიდი ნაპერწკალი გამოვარდება, უფრო დიდ ტკაცანსაც გაიგონებ. ახლა გოგირდის ბურთის მაგიერათ შუშის გორგოლა რომ აიღო და ტყავზე უსვა მაგრათ, მერე ხელი მიაკარო კარგა დიდი ცეცხლი გამოვარდება, მოზდილი ხმა გაისმის და ის ალაგი, სადაც ხელს ნაპერწკალი მოხვედრია, ძალიან დაგეწვის. აქედგან ცხადათ სჩანს, რომ ელექტრონობა ისეთი ძალაა, რომელიც გამოჩნდება სხვა და სხვა ნივთებში, როდესაც იმათ ერთმანეთზე წაუსვამს კაცი. სულ ძველის-ძველათ რომ ბერძნები ჰფიქრობდენ, ვითომც ეს ძალა მარტო ქარვისა ყოფილიყოს, მართალი არ გამოდგა. ეს ძალა როგორც ქარვაში წარმოსდგება სრესით, ისე გოგირდში, ისე შუშაში, ისე ლაქაშიაც, ისე ყოველ ნივთში, ოღონდ კი რითიმე შეიძლებოდეს იმის შემაგრება ნივთში. რადგან ბერძნებს პირველად შეენიშნათ ეს ძალა ქარვაში, იმისთვის დაარქვეს ქარვის სახელი (ელექტრონ, ელექტრონობა), თორემ სხვა საბუთი არა ჰქონიათ რა. ვთქვათ შუშაში წასმით და სრესით აღიძრა ელექტრონობა, მერე რაც უნდა ნივთი მიაკარო იმას, მაშინვე გამოვარდება ნაპერწკალი, ეცემა დაახლოვებულ საგანს და მეორეთ კიდევ რომ მიუახლოვო თითი შუშას, აღარც ნაპერწკალი გამოვარდება და აღარც ხმა გავარდება. ამითი მეცნიერები დარწმუნდენ, რომ შუშაში რაც ელექტრონობის ძალა აღძრულა, ნაპერწკლის დაბადებით და ხმის გაღებით გადვიდა მეორე საგანში, მეორე საგნიდგან მიწაში და იქ კი დაიკარგა. როცა კაცმა თითი მიაკარა ელექტრონობიანს შუშას, იმან მიიღო თითით ეს ძალა, რომელმაც დასწვა კაცს თითი, გაიარა იმის ტანში და ჩავიდა მიწაში, სადაც დაიკარგა. მაგრამ ავიღოთ შუშა, რომელშიაც სრესით ელექტრონობა აღმოჩენილა და მივაკაროთ სხვა შუშა, დავრწმუნდებით, რომ ელექტრონობიან შუშიდგან მეორე შუშაში არც ნაპერწკალი გამოვარდნილა, არც ხმა გაგვიგონია. აბა, შუშის მაგიერათ თითი მივაკაროთ. მაშინვე ნაპერწკალსაც დავინახავთ და ხმასაც გავიგონებთ. აქედგან სჩანს, რომ შუშამ ელექტრონობიან შუშიდგან ელექტრონობა არ მიიკარა. მაშასადამე არის ზოგიერთი ნივთები, რომელნიც არ იკარებენ სხვა ნივთში აღძრულ ელექტრონობასა, თუ არ საკუთარს ელექტრონობას, რომელიც იმაში შალის წასმით აღუძრავთ. ამისთანა სხვის ელექტრონობის მიუკარებელი ნივთები არიან: შუშა, გოგირდი, აბრეშუმის ძაფი, ხმელი ჰერი და სხვ. ელექტრონობის მიმღები ნივთები კი მრავალია ქვეყანაზე. სხვათაშორის ძალიან ადვილათ რკინა მიიღებს ელექტრონობას და გაჰყავს მიწაში. ამისათვის თუ უნდათ რკინის ზოდში დააგროვონ ბევრი ელექტრონობის ძალა, აიღებენ რკინის ზოდს დაამაგრებენ შუშის ფეხებზე და მიუახლოვებენ შუშის გორგოლას, რომელსაც ტყავზე სმით აღეძრება ელექტრონობა და გადადის რკინის ზოდში. რადგან ზოდი შუშის ფეხებზეა დადგმული, რომელიც არ იკარებს რკინაში გასულს ელექტრონობის ძალას. ამისთვის შუშის გორგოლას თან და თან მომეტებული სმით ტყავზე უფრო და უფრო ბევრი ელექტრონობა გროვდება რკინის ზოდში. საიდგან შევიტყობთ, რომ რკინაში ელექტრონობაა დაგროვებული? — მიუახლოვე თითი და მაშინვე გა-

მოვარდება იქიდგან ნაპერწკალი, დაგწვამს ხელს და ტკაცანს გაიგონებ. რომ რკინა შუშის ფეხების მაგიერათ რკინის ფეხებზე შემდგარიყო, არც ნაპერწკალი გამოვარდებოდა, რადგან ყველა ელექტრონობა, რომელსაც რკინის ზოდი მიიღებდა შუშის გორგოლიდგან უცბათ ჩავიდოდა რკინის ფეხებით მიწაში და რკინის ზოდში ველარ დაგროვდება ელექტრონობა; ამისთვის თითის მიკარებაზე ვეღარც ნაპერწკალს შევნიშნავდით.

ამის შემდეგ მოკლეთ ჩამოვთვალოთ რა არის ელექტრონობა?-

ელექტრონობა არის ძალა, რომელიც აღიძვრის ყოველს ნივთში, როდესაც იმას შესაფერს სხვა ნივთს წაუსვამთ. ელექტრონობა გადადის ერთი ნივთიდგან მეორეში, მეორესაგან მესამეში, მესამედგან მეოთხეში, სანამ მიწაში არ ჩავა და იქ არ იკარგება იმის მოძრაობა; არის ზოგიერთი ნივთი, რომელიც არ იკარებს სხვა ნივთში აღძრულ ელექტრონობას და ამისთანა ნივთების საშუალებით შეიძლება ეს ძალა დაგროვდეს ისე, რომ მიწაში არ გადვიდეს.

ამისთანა ცნობების შემდეგ ჩვენ ადვილათ შევიძლიან ქუხილი და ელვა ავხსნათ. ღრუბლებში როდესაც ერთი ღრუბელი ჭაერში მეორე ღრუბელს წაესმება, მაშინ იმათში იბადება ძალიან ბევრი ელექტრონობა. თუ ჭაერი მშრალია, მაშინ ის ღრუბლებშია დაგროვებული და გარეშე ღრუბლებს გადასცემს თავის ელექტრონობას. მაშინ გამოჩნდება ღრუბლებში დიდი ნაპერწკალი, რომელსაც ჩვენ ელვას ვეძახით და ამ დროს ხმაც ისმის. თუ ჭაერი ნამიანია, მაშინ შეიძლება ელექტრონობის ძალა მიწამაც მიიზიდოს და მაშინ გამოვარდება ღრუბლიდგან დიდი ცეცხლი და ამ დროს საშინელი გრგვინვაც ისმის; ამას ვეძახით მეხის გავარდნას. იმ ადგილს, საცა ეს ცეცხლი დაცემულა ნახავთ მიწაში მიწის ნაწილებს, რომელნიც ერთმანეთს შედუღებიან და გამხდარან მადნეულსავით მაგარი, თითქოს რკინის, ან მიწის ნამტვრევი ყოფილიყოს. ამას უბრალო ხალხში ეძახიან მეხის ნატეხს; მაგრამ ეს უცოდინარობის გამო დაურქმევიათ ხალხს, თორემ ეს არის მიწის ნაწილები ერთად შედუღებული იმ საშინელის დიდი ნაპერწკლისაგან, რომელიც ღრუბლიდგან, როგორც ელექტრონული ძალა მიწაში ჩავარდნილა. წვეტიანი ადგილები მიწაზე, მაგალითად მაღალი ხის წვერი, ან სამრეკლოს თავი, ან საყდრის წვეტიანი გუმბათი და ზედ რკინის, ან სხვა მადნეულის ჯვარი უფრო იტაცებს ღრუბლებში აღძრულ ელექტრონობას. ამ ამაღლებულ წვეტიან ადგილებს უფრო ადვილათ ჩამოუვება ელექტრონის ძალა მიწაში ჩასასვლელად და აი, ამისგამო აიხსნება, რომ ხეებს და სამრეკლოებს უფრო ხშირათ ეცემა მეხი. ვისაც უნდა წვეტიანი სახლები მეხს მოარიდოს, იმან უნდა გაავლოს რკინის მავთული სახლის ან საყდრის წვერიდგან და ჩაასოს მიწაში. როცა ღრუბლები იქნება და ელექტრონობის ძალა აღმოჩნდება ესე იგი როცა ჭეხა-ქუხილი ატუდება, მაშინ ელექტრონული ძალა რკინის მავთულით ცოტ-ცოტათ მიწაში გადადის და სახლს არაოდეს მეხი არ დაეცემა. ამისთანა რკინის მართულს მეხის მომგერებელს ეძახიან. ამისთანა მეხის მომგერებელი რკინის სარები ძველათ მრავალი ჰქონდა იერუსალიმის ტაძარს გაკეთებული. როცა ღრუბლიან დღეებში ჭექა ქუხილი ატუდებოდა, ამ რკინის სარებზე მუდამ ნაპერწკლები ჩნდა. ებრაელებს ეგონა რომ იერუსალიმის ტაძარს ნათელი ადგიაო; ის კი არა თუ ეს იყო ღრუბლებში დაგროვებული ელექტრონობის ძალა, რომელიც ცოტ-ცოტათ რკინის სარებზე ჩამოდიოდა მიწაში გადასავლელათ და რკინაში გადასვლის დროს პაწაწა ნაპერწკლების ბაწარი ჩნდა.

სრესისა და საგნების ერთმანეთზე წასმის გარდა ელექტრონობის ძალა მაშინაც იბადება, როდესაც რომელიმე სხეული, ან ნივთი დაიშლება, დაირღვევა მასალებათ. ჩვენ ვიცით რომ ყოველი ნივთი არის შემდგარი რამდენიმე მასალებისაგან და როდესაც ამ მასალებს რაიმე საშუალებით დავშლით ან დავარღვევთ, მაშინ იბადება ელექტრონის ძალა და ამ ადგილს თუ გძელი რკინის მართული მივაკარეთ, თვითონ რკინის მართულშიაც ცოტ-ცოტათ გადის ეს ძალა. და თუ მართულის მეორე წვერიდგან მიწაში არ ჩავიდა, იმდენი ელექტრონობის ძალა მოგროვდება წვერთან და ისე გახურებს მართულის წვერს, რომ ის გავარვალებულ რკინაზე უფრო ანათებს. აი, ამ თვისების საშუალებით მოუგონია ერთს მეცნიერს ელექტრონული ხერხი. ის ამ ელექტრონობით გახურებულს მართულს წაუსვამს ხოლმე ხეს და ერთს წამს გადაჰჭრის რაც უნდა სქელი ხე იყოს. ამ სასოფლო გაზეთის ნომერში არის რამდენიმე სიტყვა ამ ხერხზე ნათქვამი. ესევე საშუალება უხმარიათ კალასკაში შებმულ გაგიჟებულ ცხენების შესაჩერებლათაც. ქუჩერს აქვს პაწაწა კოლოფი, რომელშიაც მოწყობილია ელექტრონული ძალის აღძრვა და როცა დასჭირდება, ქუჩერი აღძრავს ამ ძალას და ამ დროს რკინის მართული ისე საშინლათ ჩაჰკრავს გაგიჟებულს ცხენს სადავეში, რომ ცხენს თავს რეტი დაესხმის და გაჩერდება. ამავე ელექტრონობის წყალობით გააკეთეს კაცებმა ტელეგრაფები, რომელიც მთელს დედა-მიწის ზურგზე ერთს წამს გადასცემს ყოველ გვარ ამბავს.

---

### საოჯახო ცნობები

ჩვენში კვერცხები ხშირად ხდებიან და ჯერ ვერავის მოუგონია ჩვენში ისეთი საშუალება, რომ კვერცხები ბლომათ და დიდ ხანს შეინახონ. ერთი მეცნიერი შეოჯახე [illegible], რომ თუ გინდათ კვერცხები დიდხანს შეინახოთ გაუნუჭებლათ, უნდა დაავლონ ისინი გულს-მოდგისეთ სელის ზეთში და მერე ფიქრებ კარგა ბლომათ უნდა დაჰყარონ წმინდა ქვიშა, მოაწყოთ ზედ სელის ზეთში გავლებული კვერცხები ერთმანეთზე ახლოს, მაგრამ ისე რომ ერთმანეთს არ შეეხონ კვერცხები, ქვიშაში უნდა იყოს დამაგრებული. ამ ნაირათ შენახული კვერცხები ექვს თვეს იქით რომ ნახო ისევ ისე ახლები გეგონება, როგორც გინახავს.

* * *

**კართოფილის შენახვა:** კართოფილი უნდა დააგროვო პატარ-პატარ ზვინებათ და შუა ადგილს ძირში უნდა ჩაუყარო გაუქრობელი კირი, ესე იგი წყალ მოუხვედრელი კირი, ის თან და თან შეიშრობს კართოფილისაგან მომეტებულს წყალს და დიდხანს შეინახება. ამის შემდეგ კართოფილი უფრო იფხვნება და უფრო გემოიანიც ხდება.

* *

ჩითის კაბების რეცხვა: ჩითები რეცხვით თითქმის ყოველთვის ხუნდებიან თავის ნამდვილი ფერი ეკარგებათ და თითქმის აღარ ჰგვანან. რაც უნდა გლახა ჩითი იყოს რეცხვით არ გახუნდება, თუ ასე მოიქცევი: თუ გინდა ჩითის კაბა გარეცხო, ჯერ ცხელ წყალში უნდა გახსნა ხარის ნაღველი და მერე შიგ ჩითის კაბა კარგათ უნდა დაასველო, გარეცხო და მერე გააშრო. ამის შემდეგ ჩითები რაც უნდა რეცხო საპნით, მაინც აღარ გახუნდება, თუნდ საძაგელი ხუნი ჩითიც რომ იყოს.

* *

საზამთრო ბაღებში ჭიების გაწყვეტა ძალიან ადვილათ შეიძლება გოგირდის ფხვნილით. უნდა ნაყო გოგირდი ძალიან წმინდათ და მოაყარო ხეებს, ან სხვა მცენარეებს. ჭიები მალე გაწყდებიან და ატმის ხეებიც უფრო გაიხარებენ.

თუ გინდათ ხეზე ჭიანჭველები გასწყვიტოთ, ხის ძირში უნდა შემოახვიოთ აბზინდის ბალახი და მერე ზეიდგან წყალი დაასხათ, რამდენსამე დღეს შემდეგ ერთ ჭიანჭველასაც ველარ იპოვნი.

## ახალი მოგონებული წამალი

გველის ნაკბენის მოსარჩენათ. ერთმა მკურნალმა ანუ ექიმმა ამ ცოტა ხანში მოიგონა გველის ნაკბენის წამალი. არის ერთი მცენარე, რომელსაც მეცნიერები ეძახიან ცედრონს. იმის თესლის ფხვნილი ან ელიქსირი რომ გახსნა ერთი სტოლის კოვზი არაყში და დაალევინო ავათმყოფს, მეტი არა უნდა რა. ამას გარდა იმაშივე ამოსვრიან ტილოს ჩვარს და დაადებენ ნაკბენზე. ცედრონის თესლი ციებისათვისაც ძალიან კარგი გამოდგა. ცხელს ქვეყნებში იმას ხმარობენ ქინაქინის მაგიერათ, რომელიც თუმცა ციებას არჩენს, მაგრამ თუ ბევრი მიიღო კაცმა ტანს ასნეულებს.

* *

— ამ ცოტას ხანში ერთს პროფესორს სახელად გუნტნერს მოუგონია ახალი ლამპა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლამპას ცხოვრებაში, რადგან სხვა ზეთის ლამპები ხშირად გადავარდებოდა სტოლიდგან, ვინმე წააქცევდა და მაშინვე ცეცხლი მოედებოდა ზეთს და სახლები იწვოდა. გუნტნერის ლამპაში იმდენი ზეთი, ანუ ნავთი გადის, რამდენიც საჭირო მხოლოდ საწვავათ. ამ ლამპაში ორი პაწაწა ჭურჭლებია ერთმანეთთან შეერთებული წვრილი ყელით, რომელშიაც გაყრილია სანთლის ან ლამპის ჩლას. ქვედა ჭურჭელში ასხია ნავთი, ზედა ჭურჭელში წყალი. ქვედა ჭურჭლიდგან ცოტ-ცოტათ ამოდის ჩლაში ნავთი და რამდენიც წვეთი დაიწვის ნავთისა, იმდენი წვეთი წყალი ზედა ჭურჭლის ყელიდგან ჩადის ქვედა ჭურჭელში და ძირს მოექცევა. ამისთანა ლამპა რომ კიდეც წაიქცეს ცეცხლი მაინც არ გაჩნდება, რადგან წყალი დაიღვრება და დააქრობს. ყოველ ორს დღეში წყალი ერთხელ უნდა გამოუცვალო და ქვედა ჭურჭელში ნავთი ჩაუმატო. ამ დროს უნდა ეცადო, რომ ჩლა წყლით არ დასველდეს, თორე ლამპა კარგათ აღარ დაიწყებს განათებას.

## სამეურნეო ნაწილი·

### სატაცურის მოყვანა.

სატაცურს სთესვენ. დათესვის წინათ იმის თესლს ექვსი შვიდი დღე სულ წყალში ალბობენ, რადგან ძალიან მაგარ ხეჭ-ჭუშია გამოხვეული. წყალი ყოველ დღე უნდა გამოუცვალო; ძველი წყალი უნდა გადაწურო და ახალი დაასხა ხოლმე: დამბალი თესლი იწყებს ზდას. ბევრი თესლის გაღოჯება თუ უნდათ, ან უნდა დაყარონ ტილოზე, ან თუ ნაბადზე და ან ნამჯაზე უნდათ სატაცურის თესლი გააღოჯონ, დაყრიან ზედ ერთი გოჯის სისქეზე, მერე ზევიდგან გადააფარებენ მეორე ნამჯას და დაასხმენ წყალს თბილს ოთახში და ან გარეთ სარდაფში თორმეტი გრადუსი უნდა იყოს. მესამე ან მეოთხე დღეს თესლი თავს იჩენს, გაღოჯდება, თუ თესლი ძველია, მაშინ უფრო გვიან გაიღოჯება. მერე გაღოჯებული თესლი უნდა გაიბნეს კარგათ შემუშავებულ მიწის კვლებზე. თითო ძირი ერთმანერთზე ერთ გოჯაზე მაინც უნდა იყოს მოშორებული; ამაზე ახლოს დამყნა სატაცურისა აღარ ვარგა, რადგან, როცა გაიზდებიან ძირები ერთმანეთს ძალიან გადაებმიან და გაიხლართებიან. ყოველ ძირს, ან გაღოჯებულს თესლს ზევიდგან ერთ გოჯაზედ მაინც უნდა ჰქონდეს წაყრილი მიწა და ამნაირათ უნდა დარჩეს შემოდგომამდის, შემოდგომაზე კვლებზე ზევით მოაყრიან სასუქს, რომელიც კიდეც ასუქობს მცენარეს და იფარავს დილის ყინვისაგან; თან კიდეც ასაზდოვებს, მეორე წელიწადს სატაცური კარგა დიდი გაიზდება და ოთხ გოჯა სიმაღლეზე ტოტებს გამოიღებს; ძირი კარგათ უმაგრდება. პირველ წელიწადს კი სულ ძირში, თითქმის მიწაში იკეთებს ტოტებს. შემდეგ წლებში სატაცურის კვლები კარგათ წმინდათ არის შენახული, შემოდგომაზე, როცა ბალახი გახმება, მაშინ თუ კი სასუქი მზათ აქვთ კიდევ თხლათ მოაყრიან, მეოთხე წელიწადს სატაცური იმდენათ გაიზდება, რომ გადასარგავათ მზათ იქნება.

გადასამყნელი მიწა ასე კეთდება, გამორჩეულს ალაგს ამოთხრიან მიწას კარგა ღრმათ ისე რომ ნიადაგის ძირი ვამოჩნდეს, მერე ამ ორმოს ამოავსებენ, ან სასუქით და ან ნაკელით და ნიადაგიდან ერთ არშინ სიმაღლეზე იყოს დაგროვებული. სატაცურზე მიწას ერთ არშინ სიმაღლეზე იმიტომა ამაღლებენ რომ ნამი ან წყალი არ ჩაუდგეს; თუ ამაღლება არ მოხერხდა, კვლებს გარშემო ღარებს დაატანებენ, რომ წყალს გზა მიეცეს თავისუფლათ. სატაცურის ნიადაგი ძალიან ღრმათ უნდა იყოს გაკეთებული, რადგანაც იმის წვრილი ძირები ორ სამ არშინზე მიდიან მიწაში. სატაცურის კვალი გეგიან ალაგზე უნდა გაკეთდეს ისე რომ კვლები ნიადაგ მზეს უყურებდენ. თითო კვალი ორი არშინი სიგანის უნდა იყოს. კვალს და კვალს შუა წყლის სავალი უნდა იყოს ხუთი ან ექვსი გოჯის სიფართე მეტი არა. მერე ყოველ კვალზე სამ წყებათ დამყნიან სატაცურის ნერგებს, ყოველი ნერგი ჯეჯილებს იკეთებს. თითო ალაგას სამ გოჯა სიღრმეზე ჩაჩხვრეტენ მიწას: სიგანე შვიდი გოჯი მაინც

უნდა ჰქონდეს დაჩამყნიან ოთხ ძირს ერთად, ისე რომ ძირები მიწის ზემოთ არ უჩნდეს. მერე ამ ჩაღრმავებულებში ერთ გოჯის სიმაღლეზე ჩაყრიან მიწას, და ორ გოჯა სიმაღლე ისე უნდა დარჩეს. სატაცურის დამყნა მხოლოდ მაისის თვეში იციან. უფრო ცივს ქვეყნებში, მაგალითად რუსეთში ივნისის ბოლოსაც კი სთესვენ; უფრო გვიან თუ დარგეს უეჭველათ უნდა გასხლა, ესე იგი ცოტათ ძუძუის ზემოთ თავები უნდა წაჭრა და ამ სახით სატაცური ძალიან უმატებს ზრდას მაგრამ ეს კიდევ ასუსტებს მცენარებს, ამიტომ რომ რაც ორ წელიწადს უნდა გაზდილიყო, ის ერთ წელიწადს იზდება. გადამყნილს ნერგებს შემოდგომაზე კარგა მაღს ნეხვს დააყრიან, რომ არ მოსწვას ზამთრის სიცივეებმა და სატაცურის ძირებში რომ პაწაწა ორმოები დაურჩენიათ, იმასაც შეასწორებენ და მიწით ამოავსებენ. გადამყნილი სატაცური სამ ოთხ წელიწადზე ადრე არ მოიკრიფება; მანამდის იმის ღერები ისე წვრილები არიან, რომ სუპში ან ხარშოში თუ გამოდგება ჩასაჭრელათ, სხვათ არა. სატაცურის ღერი თითო ძირიდგან თითო ამოდის ასე, რომ თითო ალაგას რომ ოთხი ძირი ჩაუმყნიათ, ოთხი ღერის მეტი არ ამოდის როცა პირველ ღერს მოტეხენ მეორე ამოვა, მეორეს შემდეგ მესამე, მესამეს შემდეგ მეოთხე და ზოგჯერ მეხუთეც; მხოლოდ რასაკვირველია, სადაც სატაცურია დამყნილი ის კვლები უნდა აპატიო სასუქით. ყოველ წელს ძველი ცხენის სასუქი უნდა მოაყარო, ჩრდილოეთში და ჩვენში ძალიან მთიან ალაგებზე, სადაც დიდი ყინვები და სიცივეები იცის, ყოველ წელს შემოდგომაზე ახალ ცხენის სასუქს მოაყრიან ხოლმე კარგა ბლომათ დამყნილ კვლებზე და ზვინდგან ჭილობებსაც კი გადააფარებენ. რომ კვლებზე ბევრი სითბო დარჩეს, მიწას გაუდგეს და სატაცური ყინვამ არ მოწვას. ყოველ წლის გასულს თითო სატაცურის ღერი გაიზდება ძუძურისგან გასაკრეფად სატაცურის ზდაზე დიდი გავლენა აქვს სითბოს. თუ მიწაში ცივა, სატაცური წვრილ ღეროიანი იზდება და თავს სხვილს იკეთებს, თუ სითბო მიწას საკმაო აქვს, სატაცურის ღერო ძალიან სხვილი იზდება და თავი მაშინ უფრო წვრილი აქვს. არც ძალიან დიდი სითბო უნდა ჰქონდეს მიწას, რადგან მაშინ თავი კი გაუწვრილდება და მოიწვის.

სატაცურის თესლი უნდა მოკრიფო შემოდგომაზე ეკენისთვეში, უნდა მოსჭრა თავილი და დაჭყლიტო ხელში, მერე ჩასდო წყალში და ტკეპნო. მაში ღერი და ღერის გული წყლის თავზე მოექცევა, თესლი კი დაწვება ქვაბის ძირს. მერე გარეცხენ თესლს რამდენჯერმე, გადაწურვენ, დაყრიან ნაბადზე, გააშრობენ, გაახმობენ და შეინახვენ; თუ თესლი არ გაახმე კარგათ, სატაცური ვერ ამოვა რიგიანათ.

## ახალი სამეცნიერო ამბები

ჩვენში უცოდინარობის გამო ბევრს ისეთს საცხოვრებელს მასალას ვაფუჭებთ, რომ არ ვიცით იმის ხმარება, რომ სხვა განათლებულს ქვეყნებში იმ მასალებიდგან ერთი იმდენს სასარგებლოს მასალას კიდევ გააკეთებდენ თავიანთვის, რამდენიც ჩვენ მოგვდის. აბა, ვინ არ იცის, რომ ჩვენ ქვეყანაში ძვლებს ყოველგვარ ცხოველებისას სულ ტყულა უბრალოთ ვყრით, მაშინ როდესაც გერმანიაშიც ამ ძვლებისაგან მშვენიერს სუპებს, ქსეიგი ხარშოებს და სხვა და სხვა შეჭამადებს აკეთებენ. მაგრამ იმათ ისეთი ხელსაწყოც მოუგონიათ, რომ იმითი ძალიან ადვილათ ფხვნიან და ამტვრევენ ყოველნაირს ძვლებსა, ხარის ვერო თუ ძროხის, თუ კამბეჩ..ს. ამ ხელსაწყოში მაგრასტელსავით არის მოწყობილი ორი ფოლადის დანა ჭახრაკით მორთული, როცა ჭახრაკს დაატრიალებს კაცი, დანები ერთმანეთს უახლოვდებიან და ვრეშენ ძვლებს ნაწილ ნაწილათ. ამ ძვლებიდგან ასეთი გემოიანი და მშვენიერი ნახარში გამოდის და იმდენს სარგებლობას აძლევს ოჯახობაში, რომ რაც ერთი წლის განმავლობაში ძვლის შეჭამადი ჭამდება, მარტო იმის ფასი გამოისყიდის ამ ხელსაწყოს; ანგლიაში და გერმანიაში ყოველ შეძლებულს სახლობას აქვს ამისთანა ძვლის სატეხი.

— დ ა მ ჟ ა ვ ე ბ უ ლ ი   ნ ა დ უ ღ ი ს გ ა ნ   ე რ ბ ო ს   კ ე თ ე ბ ა. თუ ნალები ან მაწონი ძალიან დამჟავდა ჩვენს ოჯახობაში, ტყუილათ გადააგდებენ, რადგან არ იციან იმისგან ერბოს კეთება ამისთანა დამჟავებულს ნალებს სადღვებელში უნდა გაატალო წამხდარი ნაწილები. შიგ ჩაასხმენ წიდის (სოდის) წყალს და ნახევარ საათში ხუთჯერ, ან ექვს ჯერ დააჯანჯღალებენ. თუ დარჩა ზოგიერთი ნაკუნთალები ამ წყალში გაუქნელი, წიდის წყალი კიდევ უნდა მიუმატო, სანამდის ლაკმუსის ქაღალდი (აფთიაქში იკითხე) ნაცრის ფერათ არ შეიცვლება. ამის შემდეგ რძეს, ან საერთოვო ნალებს დადგმენ მყუდრო ალაგას და ცოტას დააცლიან, მარილის ძმარს (სოლიანის კისლოტა აფთიაქში იკითხე) დაასხმენ ზედ ცოტ-ცოტათ, სანამ ლაკმუსის ქაღალდი მოწითლოთ არ შეიმღება. მერე უნდა დარწმუნდე რომ ეს საერთოვო ნალები, ან ერბო, ან მაწონი გაწმენდილია, გაკეთებულია და იმისგან მშვენიერი ერბო მოიდღვების.

***

— ბევრგან თესვენ იმდენ ნესვს, რომ ვეღარ მოარევიან, ლპება და ყრიან: მაშინ როდესაც ამ ჟამად ნესვისაგან აკეთებენ საუკეთესო შაქარს. ჩვენში რომ მოხელობა და შაქრის ქარხნები იყოს გაკეთებული, ვინ იცის რამდენი სარგებლობა ექნებოდა მეოჯახეებს თუნდ ამ მხრით.

***

— ამერიკის წყლებში და ზღვებში მრავალ თევზს იჭერენ და რომ სარჩოთ ვეღარ მოუხმარიათ, მოხელობაში გამოუყენებიათ. თევზისაგან მშვენიერს ქაღალდს აკეთებენ.

***

— ვინ იცის რამდენი უბედურება ჰხდება ჩვენში იმის გამო, რომ სახლებს ხურვენ წალმით ან ჭილობით და ყავრით. მაშინ, როდესაც შეიძლება და ქვის ქაღალდი გაეკეთებინა და იმითი გადაეხურა სახლები. როცა მოხელობაა გაღვიძებული იქ ხალხის სიმდიდრის საშუალება ერთიანად მრავლდება და თვით ეს საშუალებანი უფრო განძნი არიან. განათლებულს ქვეყნებში აი, როგორ აკეთებენ. იღებენ კირს, მაგარ წებოს, რომელსაც დურგლები ხმარობენ, სხვა და სხვა ქაღალდის ნაგლეჯებს, რომელიც ხარშვით შეიძლება ცომათ გადიქცეს და ბოლოს სელის ზეთს; შემდეგ აიღებენ გაუქრობელს კირს, ესე იგი დამწვარს ქვებს, რომელთაც ჯერ წყალი არ მოხვე-

დრიათ, აგრეთვე სქელ თიხას და დანაყვენ მალიან წმინდათ ცალკე სანაყავებში. წებოს ჰქნიან წყალში, ქაღალდის ნაგლეჯებს ერთს დღე და ღამე ადუღებენ წყალში, მერე გაწურვენ და სელის ზეთს გარდა ამ მასალებს ერთად შეურევენ და დაუწყებენ ნაყვას; ნაყვის დროს ზეთს მიუმატებენ მერე ამ ცომს დადებენ იმ სიფართე ფიცარზე, რა კალაპოტისაც უნდათ და ზევიდგან დაადებენ მეორე ფიცარს და დაწნეხენ, დააჭერენ, რამდენსამე ხანს შემდეგ ზედა ფიცარს აალიან და გაშრობენ ჭერზე და ქვის ქაღალდი მზათ არის სახლის სახურავათ. საუკეთესო ქვის თაბახები რომ გამოვიდეს ნახევარი წილი დურგლის წებო უნდა ახმარო და ნახევარი წილი სელის ზეთი. თითო წილი ქაღალდი და გაუქრობელი კირი, სამი წილი თეთრი თიხა.

* * *

— რადგან წებო მოვიხსენეთ საჭიროა აქ ვილაპარაკოთ გაკვრით ისეთს წებოს კეთებაზე, რომელსაც ნამი ვერას ავნებს. ამისთანა წებოს საკეთებლათ ოცდაათი გრამი სანდარაკი და მასტიკის ფისი უნდა გაადნო ერთ ვედრო მაგარ ალკოგოლში და უნდა მიუმატო ოცდაათი გრამი სკიპიდარი. ეს ზემოხსენებული მასალები იკითხე აფთიაკში და იქ იშოვნი. მერე იმას მიუმატებენ თანასწორს ნაწილს ცხელს თევზის წებოს, სანამდის მალიან არ გასქელდება ეს ცომი; მაგრამ შეიძლებოდეს კი პირსახოცში, ან ტილოში გაწურვა.

* * *

ელექტრონული ძალით თან და თან უფრო სარგებლობენ. გარდა ამისა რომ ამ ძალის საშუალებით რამდენსამე მინუტს მთელ დედა-მიწის ზურგზე, შეატყობინებენ ყოველ გვარს ამბავს. ახლა სხვა საოჯახო საქმეებშიაც კი ხმარობენ ამ ძალას. მაგალითად აქამდის სახერხავათ მოგონილი იყო ორთქლის მანქანა და ზედ ჩარხით ხერხი ჰქონდა მიკეთებული. მაგრამ ამ საშუალებით მაინც გვიან კეთდებოდა საქმე. ახლა ელექტონის ძალით იხმარეს აქ და იმითი მეტი არ შეიძლება, ისე ჩქარა იხერხება ხე. ყველამ იცის, რომ ელექტრონის ძალით შეიძლება ისე გახურდეს ერთს წამს რკინის მავთული, ან სხვა მეტალისა, რომ მზესავით ანათებდეს. ამისთვის თეთრი ოქროს მართული რომ გაახურო ელექტრონული ძალით და წაუსვა წამოუსვა ხერხსავით, ხეს ერთს წამს გადასჭრის შუაზე რაც უნდა სხვილი ხე იყოს.

* * *

ამ ბოლოს დროს მშვენიერ ცხენებით სეირნობა ფაეტონებში და კალასკებში ძალიან გახშირდა. შეძლებული კაცი ისე როგორ გამოვა, რომ საუკეთესო ცხენები არ იყიდოს და ეკიპაჟი არ გაიმართოს. ამასთანავე ამ ეკიპაჟებში მოსეირნებსაც ხშირათ ემართებათ მარცხი, ცხენები გიჟდებიან, კუჩერები თავს ვერ უმაგრებენ, ფაეტონი, კალასკა და სხვა ამგვარი ეკიპაჟი ბრუნდება და ამტვრევს როგორც ეკიპაჟს, ისე კუჩერსაც და იმის ბატონსაც. რომ ამისთანა მარცხები აღარ მოხდეს, ელექტრონის მაშინა მოიგონეს, რომელნიც პაწაწა ყუთშია გაკეთებული ტელეგრაფსავით. ეს ელექტრონის ყუთი საცა კუჩერი ზის, იქ არის შენახული და იქიდგან წვრილი რკინის მართულები მიბმულია აღვირის რკინაზე და მეორე მავთულის წვერი აღვირის რკინიდგან გამოტარებული კუჩერს ხელში უჭირავს. ცხენები თუ გაგიჟდენ, ასე რომ კუჩერმა თავი ვეღარ შეუმაგრა. კუჩერი მაშინვე დაჭკრავს მავთულის ფოლაქს ელექტრონის ყუთს და ამ წუთას ელექტრონის ძალა ისე საშინლათ ჩაჭკრავს ლაგამს გაგიჟებულს ცხენებს, რომ იმათ რეტი ესხმებათ და უეცრათ ჩერდებიან.

* * *

## გამოსადეგი ამბები

კურდღლებისაგან დაფარვა ნორჩი ხეებისა. აგრეთვე როგორ უნდა მოიქცენ, რომ ახალს ხეებს ხავსი არ გაუჩნდეს ან მომეტებული ტოტები არ გამოიღოს.

ყოველმა მებაღემ და მეოჯახემ გამოცდილებით იცის, თუ რა საშინლათ ემტერებიან კურდღლები ახალ ხეხილებს, რადგან იმათი ქერქი მალიან ნორჩია და გემრიელი საზდოა კურდღლებისათვის. განსაკუთრებით ისინი ემტერებიან ვაშლის ხეებს, რომელთა ქერქი ყველას ურჩევნიათ, ზამთარში, როცა დიდი თოვლი მოვა და ხვა საზდო გაწყდებათ, კურდღლები მიჭყოფენ ხელს ნეკერსა და პაწაწა ხის ტოტების ხრას, მართლაც თუ დიდი თოვლი მოვიდა, ვაი მებაღების ბრალი, ისინი ერთ ღამეში თუნდ სამას ოთხას ხეს გახრავენ ისე ბევრი შემოედებიან ხეხილებს. მაგრამ იმათგან პატივების თანა ადვილი არა არის რა. უნდა აიღოთ ერთი ვედრა წყალი და გახსნათ შიგ ხუთი გირვანქა ახალი დამწვარი კირი, რომელსაც ჯერ წყალი არ მოხვედრია, მერე შიგ ჩაყაროთ რამდენიმე მუჭა კარგათ დაფხვნილი ჭვარტლი, სულ ესეები კარგათ აურიოთ, მერე ჯოხის წვერზე უნდა დაამაგროთ პურის ჭკვლი ჩოთქსავით და იმითი უნდა წასცხოთ ზემოხსენებული წამალი ხის ტანებს ძირიდგან დაწყებული ერთ არშინ სიმაღლემდის, რომ კურდღლები ვეღარ შესწვდენ. ხეების ტოტების გასალესათ უნდა ამოარჩიოთ თბილი დღეები, როცა მზე მალიან აჭერს, რომ წასმული კირისა და ჭვარტლის წყალი ხეებს შემოახმეს, თუ ან ავდარი იქნა, ან ღრუბლიანი დღეები და მაშინ წაუსვი, ხეებს წამალი ჩამოერეცხებათ და მაშინ ხელ მეორეთ უნდა წაუსვათ. თუ ვინიცობაა მებაღემ ან მეოჯახემ ყურადღება მიაქცია და შემოდგომის გასვლამდის ხეები დარჩენ წამალ წაუსმელები, დაიწყო ყინვები, მაშინ უნდა ამოარჩიო ისეთი დღე, როცა მზე კარგათ აჭერს, თორემ ყინვაში თუ წაუსვი, გაშრება და არ მიადგება.

* * *

კირისა და ჭვარტლის წყალი ხავსის მოსაშორებლათაც მალიან კარგია. ეს წამალი რაკი ხეს შემოახმა დიდი ყინვებისაგანაც იფარავს. ის ხეებს ათბობს. ხავსი მალიან მავნებელია ხეებისათვის. ის მოეკიდება იმათ ქერქს ჩაუშვებს შიგ ძირებს და სწოვს წვენს, ართმევს ხეებს მომეტებულ საზდოს და იმითი უშლის იმათ ზდას, ზოგჯერ ხეები იმდენათ დაეცემიათ ხავსისაგან, რომ ნაყოფს ვეღარ ისხამენ. მასგარდა თვალისთვისაც უსიამოვნოა ხავსიანი ხის დანახვა. ხავსი რომ შემოაცალო ხეებს, ისიც მალიან უხდება, მაგრამ რადგან ხავსის ფესვები ქერქში რჩებიან, შემდეგ ფესვები გაიხარებენ და გამოიღებენ ნაყოფს, ისევ გამრავლდებიან და ხელმეორეთ შემოსვენ ხის ტანს ხავსითა, მით უფრო საჭიროა ხის გალე-

ეროვნული

სვა კირიანი და ჭვარტლიანი წყლითა, რადგან ეს წამალი თვითონ ქერქში დარჩენილ ხავსის ფესვებსაც აღარ გაახარებს.

⁂

მაგრამ ზოგიერთი ხავსის გასაწყობათ ეს წამალიც არ კმარა, მაშინ ისე უნდა მოიქცენ: ჯერ დანით შემოაცალონ ხავსი, მერე ღრუბლიან დღეში ძალიან მაგრათ უნდა გახეხონ შალის ჩვრით; აგრეთვე უნდა აიღონ ერთი მუჭი მარილი და ორი მუჭა ნაცარი, შეურიონ ერთმანეთში, დაასხან ერთი დიდი ბოთლი მდუღარე ზედ, ძალიან კარგათ აურიონ და გაწურონ, მერე წამალში ამოვლებული ჩვრით კარგათ უნდა გახეხონ ხის ძირები. ამას კიდევ ის ემჯობინება, თუ გაუქრობელს კირს ძალიან სქლათ გახსნი წყალში და ჩოთქით გალესავ შემოდგომაზე ხის ძირებს, იმითი ხავსიფესვებიც გაჰქრება და ჭია ბუზების კვერცხებიც.

⁂

ზოგჯერ ხის ტანებს ამოუა პაწაწა ტოტები, შეიფოთლება და ეს აკლებს ხეს ნაყოფიერებას; ამას გარდა შიგ მრავალი ჭია ბუზები სდებე-კვერცხებს და მომავალისათვის ამრავლებენ ხეხილის წამხდენს ცხოველებს. იმათ გასაწყობათ ყველას სჯობია შემდეგი წამალი. უნდა ჩაყარონ ერთათ ძროხის ნეხვი ფრინველის ნაკელი, ან მტრედისა, აყალო მიწა (თიხა) ერთად აურიონ, დაასხა ზედ წყალი და სქლათ შეზილონ, მერე ჩოთქით წაუსვა ხის ტანს, ერთი დღე ამყოფონ და შემდეგ მეორე დღეს ისევ ჩოთქით მოსწმინდონ და მერე წმინდათ მობანონ, ნაბანი წყალი ჩინებულათ გაანოყიერებს ხის ძირთან მიწას და იმას გარდა ჭია-ბუზებსაც და იმის კვერცხებსაც ძალიან გააწყობს.

---

## ნიკოლაევის სასწავლებელი

ეჭვი არ არის, რომ ყველასთვის, უფრო სახალხო მასწავლებლებისათვის, ძრიელ საინტერესო უნდა იყვეს ნიკოლაევის სასწავლებლის მდგომარეობის შეტყობა. ვინ არ იცის, რომ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებმაც ფრიად მშვენიერათ იციან ის წესები, თუ როგორ ასწავლიან, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება სწავლებაზე, მაშინ სრულებით ვერ იყენებენ თავიანთ ტეორეტიულათ შესწავლულ პედაგოგიას, მაშასადამე, ვისაც კი სურს მასწავლებლობა და უნდა, რომ იმისი ქოროვა მოსწავლეები არ დაიჩაგრნენ გონებია და არც ეწვალნენ ისე, როგორც აქნობამდე სწავლობდნენ და გონებით მახინჯდებოდნენ, უეჭველათ უნდა ეცადოს და ტეორიასთან შეისწავლოს პრაკტიკაც, თუ ტეორიასთან პრაქტიკა არ არის, ის ტეორია მკვდარია. რადგანაც ეს ასეა, აბა გადავავლოთ თვალი ნიკოლაევის სასწავლებელს, რომელიცა პრაქტიკულ ნიადაგზე დგას.

ამ სასწაულებლის ზედა-მხედავს და მის თანაშემწეს ზედ მიწევნით აღსრულებაში მოუყვანიათ გამოჩენილი პედაგოგის დისტერვეგის რჩევა შესახებ ყმაწვილების აღზრდისა, შეხვალთ თუ არა სასწავლებელ ოთახში, თქვენ ნახავთ ირგლივ კედლებზე სამღთო ისტორიული პირების სურათებს; თქვენ ნახავთ სხვა და სხვა მხრის ცხოველების და მცენარეების სურათებს; თქვენ ნახავთ საანგარიშო ჩოთქებს;—ზოგან გამოჭრილ გეომეტრიულ პრიზმებს, პირამიდებს, კონუსებს და სხვებს. ცხადია, რომ ყმაწვილი ცოცხლათ იმოქმედებს, როდესაც ის ყოველ დღე ჰხედავს მშვენიერათ დაშავებულ ყურძნის მტევანს, მსხლის ნაყოფს და სხ.

როცა მასწავლებელი ჰკითხავს იმას: მითხარი ყურძნის და მსხლის ერთგვარი თვისებები, რასაკვირველია ის ცხადათ აჩვენებს,—ის წარმოუდგენს ვაზის ხეს და ზედ შავათ დამწიფებულს მტევანს. ამას მაშინვე პირწყალი მოუვა და მოაგონდება გემოვნება; თუ ვენახის პატრონია, იმას თვალწინ წარმოუდგება რთველები, ის მდგომარეობა, როცა პატარა კალათი ყურძნით გატენილი ზურგზე ეკიდა და საწნახლისაკენ მიაცუხცუხებდა; თვალწინ წარმოუდგება ახლად დაწურული მაჭარი, ასე გაშინჯეთ ისიც მოაგონდება, როგორ გაეპარებოდა დედმამას და გამოჰკიკნიდა ახლად შეჭრელებულ მტევანს—აგრეთვე მსხალიც თვალწინ წარმოუდგება თავისი თვისებებით. ამ შემთხვევაში ყმაწვილში აღიბეჭდება ყოველივე ისა, რასაც კი მასწავლებელი აცნობებს ამათზე. მასწავლებელი აჩვენებს ყმაწვილებს მაცხოვარს ჯვარზე აკრულს, აქეთ იქით მდგომარე ურიებს;—ყმაწვილები მაშინ სიძულილის თვალით შეხედავენ ურიებს, ისინი ნათლათ თვალწინ წარმოიდგენენ ქრისტეს ცხოვრებას, იმის სიმშვიდეს და კაცთ-მოყვარეობას; ისინი ცხადათ დაინახვენ, რომ ის დაუტანჯავთ უბრალოთ და მიტომ იმისი მოთხრობა ქრისტეზე დარჩება ყმაწვილებში სიკვდილამდის.

სწორეთ მოგახსენოთ ნიკოლაევის სასწავლებელში არა ხმარობენ არც როზგს, არც ყურების მოსრესას, მაგრამ მოსწავლები შეკავებულები და ყელ მოღერებულები სხედან სტოლებზე; იმათში ვერ შეატყობთ ვინ კარგათ სწავლობს და ვინ მდორეთ; თითქმის ყველანი ერთნაირათ ძრიელ კარგათ სწავლობენ რუსულს, ქართულს და სომხურს. ზოგიერთ სასწავლებლებში კი ცხადათ შენიშნავთ, რომ ბევრი წილი ყმაწვილებისა მასწავლებლებს ყურს არ უგდებენ. აქ თვით მასწავლებლები არიან მიზეზნი და არა მოსწავლეები. მასწავლებლებით ყურადღებას აქცევენ მარტო იმ მოსწავლეებს, რომლებზედაც წინეთ კარგი აზრი აქვთ შედგენილი, დაბალ მოსწავლეებზე კი სრულებით არა ფიქრობენ,—დაბალი მოსწავლე მერმე თუნდაც ბრძენიც გახდეს, მაინც მასწავლებელი იმაზე არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს. რამდენი ნიჭიერი ყმაწვილი წაუხდენიათ თავიანთი ტირანული ქცევით და წინათ შედგენილი აზრით. ნიკოლაევის სასწავლებელში კი სრულებით ასე არ არის; მასწავლებელი ხრულებით არ აგრძნობინებს ყმაწვილებს თქვას, რომ ერთი მეორეს სჯობიან, ყველას ერთნაირად უცქერის: მდიდარს, ღარიბს, ნიჭიანს და უნიჭოს. მასწავლებელი ჰკითხავს ერთს მოსწავლეს და თუ იმას შესცდება რამე, სხვები, იმის ამხანაგები, საჩვენებელ თითს აიშვერენ, იმითი მასწავლებელს აჩვენებენ, რომ ეგ მოსწავლე სწორეთ არ ამბობს, მასწავლებელი ჰკითხავს ერთს იმათგანს; ის გაუსწორებს, იმასაც თუ სწორეთ არ უთხრა, სხვები გაუსწორებენ; ამ გვარათ ერთი ერთმანეთს უსწორებენ ყმაწვილები შეცთომილებებს; ამიტომ ყველანი ფხიზლათ არიან და ყველანი განაბულები უგდებენ ყურს იმას, ვინც გაკვეთილს ამბობს ანუ მასწავლებლის ნათქვამს იმეორებს, მოსწავლეები

ისე არიან მიჩვეულნი ყურადღებას, რომ როცა მასწავლებელი ხსნის, მაშინ თუ გაიჩუჩუნა ვინმე ან უწესოება მოახდინა ვინმე, ისინი სრულებით არ დაჭთვარავენ, მაშინვე მასწავლებელს ეტყვიან, მასწავლებელიც მაშინვე მოაშორებს ცუღლუტ ყმაწვილს და ოთახის კუნჭულში დააყენებს ფეხზე იმ აზრით, რომ იმათ სხვებიც არ ააცუღლუტონ. სულით და გულით ვისურვებ ამ სასწავლებლის უმეტეს წარმატებას, ვისურვებ იმასაც, რომ ამისთანა სასწავლებლები გამრავლდეს ჩვენ საქართველოში.

ა. კავთელი.

---

## მაიმუნების ცხოვრება.

ერთს დიდს აფრიკის ტყეში მაიმუნების ერთი დიდი სახლობა სცხოვრებდა. ეს მაიმუნები ერთმანერთს სიამოვნებით ეხმარებოდნენ ყველაფერში, ღამ-ღამობით კი როდესაც ცოტა აცივდებოდა ხოლმე, ერთმანერთს მიეკვრებოდნენ ერთმანერთს გადაეხვეოდნენ და დაიძინებდნენ; იმათ უტკბებოდათ ძილი და უსაზნოთაც სთბილოდათ. დილდილით კიდევ ტყეში დასეირნობდნენ, ხოლმე ერთი წვერიდგან მეორეზე ხტებოდნენ, ეს იმათ სეირნობას შეადგენდა. ამას გარდა ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. აი ერთმა მაიმუნდა მწიფე წითლით მსხმოიარე ხე დაინახა და ერთი დაიკივლა. იმის დაკივლებაზე მოცვინდნენ დანარჩენი მაიმუნები და ხილით კარგათ ისადილეს. სადილის შემდეგ ცივი წყლის დალევა მოუნდათ, ჩამოკიდნენ ხეებიდგან და წყაროსკენ გასწიეს; ეს წყარო ტყეშივე გამოჩხრიალებდა. წყლის დალევა გაათავეს თუ არა, ერთმა მაიმუნმა რაღაც ფაჩა-ფუჩი გაიგონა მახლობელ ბუჩქში, კარგათ დააშტერდა და დაინახა, რომ ერთი საშინელი მტერი მოეპარებოდათ ბუჩქებს შუა;—ეს მტერი ჯიქი იყო, რომელიც არჩევდა, რომელს მაიმუნს უფრო მალე წავავლებ ხელსაო, მაიმუნმა დაინახა თუ არა ჯიქი, ლეოპარდი, მაშინვე ერთი საშინლათ იკივლა, ამ დაკივლებაზე მაიმუნებმა მაშინვე იგრძნეს შიში საჩქარით ხეებზედ აცვინდნენ, ახტნენ და ზედ ხისწვერზე დასკუპტნენ; იქ იმათ აღარც ერთი მხეცისა არ ეშინოდათ, რადგან იქ იმათ ვერავინ დაიჭერს, მაგრამ აფრიკაში ბევრი ეკლიანი ხეებია, (რომლებიც ეკლებით სავსეა) და როდესაც ეს ცხოველები ცდილობდნენ საჩქაროდ ხეზედ ასულიყვნენ, ტოტებზედ მაშინ ეს ეკლები გაებმებოდათ ხოლმე ბეწვში და შეესობოდათ. ეს ხიწვები საშინლათ აწუხებდა მაიმუნებს, ხელებიდგან ყველა მაიმუნს თითოწვე შეუძლიან გამოიძროს ეკალი; მაგრამ ბეჭებს წელს რაღა ეშველება? ყოველთვის, როდესაც მაიმუნები თავიანთ გასავლელ გზას გაივლიან, მაშინ ერთათ დასხდებიან ხოლმე, ერთმანეთს ხილვას დაუწყებენ ხოლმე, უფრო კი თმას. რომელიც გნავის ტკივილისაგან—თუ ხედავენ, რომ ეკალი ან ხიწვი აქვს შერჭობილი გამოაძრობენ ხოლმე, ამის შემდეგ ისევ თავიანთებურ ცხოვრებას დაიწყობდენ—ე. ი. ზოგი მაიმუნები, რომელნიც დედები იყვნენ თავიანთ შვილებს ხეებზედ მარდათ ახტომას და ძრომას ასწავლიდნენ; ობლებს კიდევ სხვა მაიმუნი აიყვანდა შვილათ და სწორეთ დედასავით ყველაფერს ასწავლიდა რაც კი საჭირო იყო და რაც თითონ იცოდა; მას გარდა მტერისაგან დაიცავდა ხოლმე.

იმ დღეშივე, ერთს მაღალ ალვის ხეზედ მაიმუნს შვილი ეყოლა. ამ მაიმუნს ამის მეტი შვილი არა ჰყვანდა. ეს პატარა მაიმუნი ლამაზი სახისა ვერ არის. თავ-პირი პატარა აქვს, დაღმეჭილი ტანი ოთხი ხელით: მაიმუნებს ხომ ფეხები არა აქვთ, იმათ ოთხი ხელი აქვთ; როგორც კაცს, ისე აქვთ გამართული ხელები—რაც უნდათ ის შეუძლიანთ აიღონ ხელით. საჭმელსაც ხელით იდებენ პირში, როგორც კაცი, კაცის ფეხების მაგივრათ იმათ ისევ ხელები აქვთ—მართალია უკანა ფეხებზეც დადიან, მაგრამ მაინც იმათ, როგორც წინა ფეხებს, ისე ხმარობენ თუნდ რასმეს აიღებენ, მოსჭიდებენ კიდეც ტოტს—მაგრამ კაცს კი ფეხებით არაფერის აღება არ შეუძლიან და არც მოჭიდება, ამიტომ რომ თითები და ფეხის ცერს ვერც ერთ თითთან ახლო ვერ მიიტანს; ხელის ცერი კი ყველა თითს წვერშიაც და თავშიაც ახლო შეეგებება. რომ მიიტანოს იმ ხეზედვე აკვანსავით რაღაცა აქვს ფოთლებში გაკეთებული და შევა. წევს იქვე, მახლობლათ ხილით სავსე ხეები აქვს; მშვენიერი ყვავილებით მოფენილი ზოგიერთი ხეები და ხის ძირში მწვანე ადგილი ყვავილებით. ამასთანავე პატარა ნიავი, რომელიც ხანდახან შეანძრევს ხოლმე ყვავილებს და ფოთლებს და იმ ადგილსაც აგრილებს. ამასთანავე გარშემო დაფრინებენ მშვენიერი ჭრელი პეპლები, სხვა და სხვა მომღერალი ჩიტები დაატკბობენ იმის სმენას. იქვე მწიფდებიან (ტყეში) მშვენიერი ანანასები, შაქრის ჩალა (ტყეში) ბრინჯი და კაკო. დიდი ხანი ეკიდა კისერზე. დედას პატარა მაიმუნი, სანამ ბოლოს არ გაჭრიდა აძრომ-დამძრომა ხის ტოტებზედ და ხტომა ერთი ხიდამ მეორეზედ. სანამ—ხტომას და ძრომას კარგათ არ ასწავლიდა და კარგათ არ მოიზდებოდა, რომ მტრის შიში არა ჰქონოდა, სანამ მოზრდებული მაიმუნები თვალ ყურს ადევნებდნენ, რომ ხიფათი არ შეემთხვეს რაიმე. ერთხელ შუადღის საშინელ სიცხეში, როდესაც მთელი სახლობა მოსასვენებლათ დამსხდარიყვნენ ხის წვერზე, ძირს ერთი მწვანე გესლიანი გველი მოეხვია ხეს და ჩუმათ აძვრა ასე, რომ მაიმუნებმა, სანამ აძვრებოდა ვერ გაიგეს, კარგათ მიუახლოვდა თუ არა, ცქერა დაუწყო, რომელი შეეჭამა. მაგრამ საუბედუროთ გველისა და საკეთილოთ მაიმუნისა პატარა მაიმუნის დედამა, რომელიც ყოველთვის ძალიან ფთხილათ იყო, როდგანაც შვილის ეშინოდა, სანამ გველი არჩევდა, რომელს წავავლოო, მამამ თვალი მოჰკრა მარდათ, წაავლო ხელი გველს ყანყრატოში და მოუჭირა: გველი, მართალია, ძალიან ილაკნებოდა, თავისი კუდი მოჰხვია ხელზედ მაიმუნს, მაგრამ ვერა გააწყო რა ძირს მიწაზედ. მამამ გველს თავი ქვებს შუა გაუჭყლიტა და ზიზღით გადისროლა იმის მძოვრი შორს. ის ასე ჰფარავდა თავის შვილის სიცოცხლეს. ამ რიგათ ჰფარავდა თავის შვილს სიკვდილისაგან.

(დანარჩენი შემდეგ ნომერში)

*Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 Мая 1873г.* ეფიანჯიანცის და ამხ. სტამბაში რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.